

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

14. 09. 2017 წელი

ეგზ. N1

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N41/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შემოკლებანი.....	3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაცია	3
3. შესავალი	4
4. ძირითადი ტექსტი.....	6
4.1. სახელმწიფო შესყიდვები.....	6
4.2. „C“ ჰეპატიტით დაავდებულ პირთა დიაგნოსტიკის“ პროგრამა	9
4.3. შრომის ანაზღაურება	10
4.4. საქმიანობის ფინანსური შედეგები	12

1. შემოკლებანი

1. შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ - ცენტრი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-პარტნიორი.

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

- სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას ფიქსირდება პრეტენდენტთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები. არ ტარდებოდა ბაზრის კვლევა და ვერ დასტურდება სატენდერო მოთხოვნებთან მიწოდებული საქონლის შესაბამისობის მდგომარეობა; გვ. 6
- აუდიტის პერიოდში ფიქსირდება პაციენტთა მხრიდან „C“ ჰეპატიტის მართვის პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ზედმეტად გადახდისა და თანადაფინანსების კომპონენტის გამოუყენებლობის ფაქტები, რაც უარყოფითად მოქმედებს მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვაზე; გვ. 9
- აუდიტის პერიოდში ფიქსირდება ცენტრში დასაქმებულთა შრომის არათანაბარი და არაობიექტური გარემო პირობები, რამაც დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და შედეგად საფინანსო მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება განაპირობა¹; გვ. 10
- წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, აუდიტის პერიოდში, არასწორი სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის, მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის არასწორი და არასრული წარმოებისათვის, მუშაკთა უსაფუძვლო გათავისუფლებისათვის დაკისრებული გადასახდელების გათვალისწინებით, ცენტრის 2015-2016 წლების ფინანსური შედეგი 280,5 ათასი ლარით გაუარესდა. გვ.12

რეკომენდაცია

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრს“:

- სატენდერო წინადადების განხილვისას, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები პრეტენდენტების წინადადებების, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთებულობის თვალსაზრისით. ამასთან, შიდა კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მიწოდებული საქონლის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;
- უზრუნველყოფილი იქნეს „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდის სრული შესწავლა და

¹ სამედიცინო საქმიანობისა და დოკუმენტაციის არასრულად და არასწორად წარმოებისათვის ცენტრი დაჯარიმებულია 210,1 ათასი ლარით.

ზედმეტად გადახდილი თანხების დროული დაბრუნება. შეიქმას შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც გამორიცხავს მომსახურების ღირებულების არასწორად გადახდის შემთხვევებს. ამასთან, პაციენტთა გადაწყვეტილება თანადაფინანსების კომპონენტების გამოუყენებლობის შესახებ, დოკუმენტურად უნდა დასტურდებოდეს;

➤ სამართლიანობის პრინციპებზე აგებული საშტატო განრიგისა და შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვით, უზრუნველყოფილი იქნეს შრომის თანაბარი და ობიექტური გარემო პირობების შექმნა. ამასთან, პარტნიორთან შეთანხმებით, განხილული იქნეს დირექტორის მიერ ექიმ-კონსულტანტის პოზიციისათვის მიღებული 64,1 ათასი ლარის კანონიერების საკითხი;

➤ დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებების დაკორექტირებით გამოწვეული ზარალი. ამასთან, პარტნიორთან შეთანხმებით, მიღებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, განხილულ იქნას აუდიტის პერიოდში არასწორად წარმოებული საქმიანობის შემთხვევები.

3. შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ, 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ცენტრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4000), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2015-2016 წლების საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

3.3. აუდიტის მამტაბი

აუდიტის მამტაბად განისაზღვრა: შემოსავლები, ძირითადი აქტივები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, შრომის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვები.

3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მამტაბიდან.

3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია, მიღებული ლიცენზიის ფარგლებში, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. ცენტრის საწესდებო კაპიტალი 1210048 ლარს შეადგენს.

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალურ ცენტრზე“ 2011 წლის 5 მაისს გაცემულია სტაციონალური დაწესებულების სანებართვო მოწმობა N000285 და სანებართვო მოწმობის დანართები: „ინფექციური დაავადების მკურნალობა“ - სანებართვო მოწმობა N001171, „რეანიმაცია“ -N001172, „რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა“ -N001170, „ფტიატრია“ - N001168,

„ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა“ – N000318, „მზა წამლის ფორმების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემა“ – N000328.

პარამეტრები	პერიოდი	თანხა (ლარი)
შემოსავლები	2015	3861209
	2016	5142135
ხარჯები	2015	3343567
	2016	4420021
მოგება/ზარალი	2015	517642
	2016	722114

ცხრილი N1. ცენტრის შემოსავლების, ხარჯებისა და მოგება/ზარალის შესახებ.

4. ძირითადი ტექსტი

4.1. სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის პერიოდში მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, განხორციელებული შესყიდვების მასალები, ამოღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომოებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს მიერ და ორ საქმეზე გამოტანილია ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ აუდიტის პერიოდში განხორციელებული შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობა შემოწმებული იქნა, შესყიდვებთან დაკავშირებით ცენტრში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

კრიტერიუმი:

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა². „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უნდა ეფუძნებოდეს, საჯაროობის, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომის პრინციპებს³. ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობების გათვალისწინებით და მისი შესრულების დადასტურება ხდება მიწოდებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენით⁴. შემსყიდველი უფლებამოსილია

² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4, მე-19 მუხლის პირველი და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

სამუშაოს ან/და მომსახურების გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გარემოება 1.

ცენტრის მიერ „სადეზინფექციო საშუალებების“ სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის⁵ შერჩევა/შეფასების ეტაპზე, საუკეთესო ფასის შემომთავაზებელი პრეტენდენტი - შპს „ვიტფარმი“, სატენდერო კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული იქნა. დისკვალიფიკაციას საფუძვლად დაედო, მისაწოდებელი პროდუქციის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, სატენდერო მოთხოვნის დოკუმენტურად დაუდასტურებლობა.

ტენდერში მონაწილე მომდევნო პრეტენდენტის სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის მიერ მისაღებად ჩაითვალა და შპს „ბიოლენდი“, სატენდერო კომისიის 2015 წლის 29 იანვრის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, ცნობილი იქნა გამარჯვებულად, თუმცა შპს „ვიტფარმის“ საჩივრის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, იმავე საფუძველით⁶, დისკვალიფიცირებული იქნა.

ანალოგიურად აღნიშნულისა, არაერთგვაროვან მიდგომას აქვს ადგილი ფარმაცევტული პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში⁷, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების განხილვისას. კერძოდ, საუკეთესო ფასის შემომთავაზებელი კომპანია შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნილ პოზიციებზე მედიკამენტების შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატების, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით წარმოდგენლობის გამო დისკვალიფიცირებული იქნა, თუმცა ტენდერში მონაწილე მეორე პრეტენდენტის, შპს „პსპ აფთიაქის“ სატენდერო დოკუმენტაცია, ანალოგიური ნაკლოვანებების მიუხედავად, მისაღებად ჩაითვალა. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სისტემაში ატვირთული დოკუმენტების, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა.

გარემოება 2.

სატენდერო განცხადების შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად მითითებულ ვადაში.

⁵ SPA 140031105.

⁶ არ დგინდება შპს „ბიოლენდის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა სატენდერო მოთხოვნებთან.

⁷ SPA 140027207.

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	დირებულება	ხელშეკრულების საგანი	მიწოდების პირობა
1	N17. 21.12.2015	შპს „ბიოლენდი“	43000	სასუქები და ნიტროგენული ნაერთები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში
2	N3. 22.01.2016	შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“	114995	ფარმაცევტული პროდუქტები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში
3	N22. 30.12.2015	შპს „საბა“	3800	ფარმაცევტული პროდუქტები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

ცხრილი N2. ცენტრის მიერ გაფორმებული რიგი ხელშეკრულებების შესახებ.

ცხრილში მოყვანილ და სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაკეთებული დაკვეთების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს და რომელიც საზოგადოების შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდში არ ტარდებოდა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები⁸ და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით, ვერ დგინდება მიწოდებული საქონლის შესაბამისობა სატენდერო მოთხოვნებთან. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს მხოლოდ ხელმძღვანელი პირი.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას ფიქსირდება პრეტენდენტთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტი. არ ტარდებოდა ბაზრის კვლევა და ვერ დასტურდება სატენდერო მოთხოვნებთან მიწოდებული საქონლის შესაბამისობის მდგომარეობა.

რეკომენდაცია

ცენტრმა სატენდერო წინადადების განხილვისას, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები პრეტენდენტების წინადადებების, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთებულობის თვალსაზრისით. ამასთან, შიდა კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მიწოდებული საქონლის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

⁸ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

4.2. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის“ პროგრამა

კრიტერიუმი

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილების შესაბამისად, პროგრამაში მონაწილე პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 პროცენტს, გარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში⁹ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000-ს, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 30 პროცენტს“. პაციენტის მხრიდან თანაგადახდის თანხიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტითა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებით, „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში⁹ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000-ს, „C“ ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფინანსდებოდათ 70 პროცენტით, ხოლო „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ - პროგრამის ფარგლებში 30 პროცენტით. სხვა მოსარგებლეს „C“ ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფინანსდებოდათ 30 პროცენტი, „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ - პროგრამის ფარგლებში 60 პროცენტი, ხოლო პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 10 პროცენტს.

გარემოება 1.

აუდიტის პერიოდში, შერჩევითი წესით⁹ შემოწმებული იქნა, 2015 წლის აგვისტოსა და 2016 წლის ივლისის თვეებში „C“ ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფისა და „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“, პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მდგომარეობა. ჩატარებული შემოწმებით დადგენილია, პაციენტთა მხრიდან თანხის ზედმეტად გადახდის 10 შემთხვევა, საერთო ღირებულებით 0,4 ათასი ლარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 11 შემთხვევაში, პაციენტთა მიერ არ არის გამოყენებული ქალაქ ბათუმის მერიისა და სსიპ - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ მომსახურების ღირებულების თანადაფინანსების კომპონენტი და თანხა სრულად გადახდილია პაციენტის მიერ. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, თანადაფინანსების აღნიშნული კომპონენტების გამოუყენებლობა, პაციენტთა მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვის სურვილმა განაპირობა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ვერ იქნა წარმოდგენილი.

⁹ აღნიშნულ პერიოდში ფიქსირდება დიდი რაოდენობით პაციენტთა მიღება.

დასკვნა:

აუდიტის პერიოდში ფიქსირდება პაციენტთა მხრიდან „C“ ჰეპატიტის მართვის პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ზედმეტად გადახდისა და თანადაფინანსების კომპონენტის გამოუყენებლობის ფაქტები, რაც უარყოფითად მოქმედებს, მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვაზე.

რეკომენდაცია:

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალურმა ცენტრმა“ უზრუნველყოს „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდის სრული შესწავლა და ზედმეტად გადახდილი თანხების დროული დაბრუნება. შეიქმნას შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც გამორიცხავს მომსახურების ღირებულების არასწორად გადახდის შემთხვევებს. ამასთან, პაციენტთა გადაწყვეტილება თანადაფინანსების კომპონენტების გამოუყენებლობის შესახებ, დოკუმენტურად უნდა დასტურდებოდეს.

4.3. შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 7 აგვისტოს N1-480 ბრძანებით დამტკიცებული, ცენტრის წესდების შესაბამისად, დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობები და მათ შორის სახელფასო ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საზოგადოების პარტნიორსა და დირექტორს შორის გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურების (შეთავსება, პრემია, დანამატი და სხვა), იმავე საზოგადოების ფინანსური სახსრებიდან გაცემის საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს პარტნიორთან, გარდა სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული საექიმო საქმიანობისა. დირექტორი ამტკიცებს მართვის სტრუქტურას და საშტატო განრიგს, თანამშრომელთა ხელფასის გარდა, სხვა სახის ანაზღაურების (პრემია, დანამატი), იმავე საზოგადოების ფინანსური სახსრებიდან გაცემა უნდა განახორციელოს წინასწარ შემუშავებული დებულების, ან პარტნიორთან შეთანხმების საფუძველზე. დირექტორი საზოგადოებას უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის პასუხს აგებს საზოგადოების სამეურნეო შედეგებზე.

გარემოება 1.

დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით¹⁰, დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ცენტრში არსებული ვაკანტური თანამდებობების (ფინანსური დირექტორი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი) ფუნქციების გადანაწილება მოხდა მოქმედ თანამშრომლებზე. დირექტორის ბრძანებებით¹¹ განისაზღვრა სახელფასო დანამატი, თუმცა

¹⁰ ბრძანება N1. 01.01.2015წ. და ბრძანება N1. 01.01.2016წ.

¹¹ ბრძანება N14. 29.05.2015წ. და ბრძანება N01-2. 01.01.2016წ.

არ არის განსაზღვრული ვაკანტური თანამდებობებით გათვალისწინებული ის მოვალეობები, რომლებიც დამატებით უნდა შეესრულებინათ დანამატის მიმღებ პირებს. ამასთან, დამატებით შესრულებული სამუშაოებისა და სახელფასო დანამატის პარტნიორთან შეთანხმების¹² შესახებ დოკუმენტაცია, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი.

გარემოება 2.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დასტურდება, რომ მედპერსონალს შორის არათანაბრად არის განაწილებული შესასრულებელი სამუშაოები. კერძოდ, ცენტრის დირექტორს, ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად, რისთვისაც თანამდებობრივი სარგოს სახით ღებულობდა 1,5 ათას ლარს, აუდიტის პერიოდში შეთავსებული ჰქონდა სამედიცინო საქმიანობა 6 სხვადასხვა პოზიციაზე. შედეგად, აუდიტის პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 200,9 ათასი ლარი. ამასთან, შეთავსებულ პოზიციებზე მიღებული პაციენტების უმრავლესობა დირექტორზე მოდის. მაგალითად, აუდიტის პერიოდში, დირექტორის მიერ ჩატარებულია 1164 ელასტოგრაფია, საერთო რაოდენობის 100 პროცენტი, აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გატარებული 5224 პაციენტიდან, დირექტორის მიერ მიღებულია 3379 პაციენტი, ანუ 64,7 პროცენტი, მაშინ როცა ამ პოზიციაზე დასაქმებული სხვა 10 ექიმის დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 3,5 პროცენტია. აღნიშნულის გარდა, დირექტორის მიერ „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 1444 პაციენტი, საერთო რაოდენობის 12,8 პროცენტი (ამ პოზიციაზე დასაქმებული სხვა 7 ექიმის დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი 12,5 პროცენტია) და აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკის კომპონენტის ფარგლებში ექიმ-კონსულტანტის პოზიციაზე მიღებული აქვს დეპარტამენტის შემოსავლების 3 პროცენტი, რომელიც 2016 წლისათვის 4 პროცენტამდე გაიზარდა. ექიმ კონსულტანტის პოზიციისათვის დირექტორს აუდიტის პერიოდში მიღებული აქვს 64,1 ათასი ლარი (თვეში საშუალოდ 2,7 ათასი ლარი), თუმცა აუდიტის მიმდინარეობისას კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულის გარდა, გლობალური პროექტების განმახორციელებლის პროგრამის ფარგლებში, დირექტორს შეთავსებული ჰქონდა მენეჯერის პოზიცია, რომლის პარტნიორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი¹³.

¹² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 7 აგვისტოს Ns-480 ბრძანებით დამტკიცებული, ცენტრის წესდების 7.13 პუნქტი.

¹³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 7 აგვისტოს Ns-480 ბრძანებით დამტკიცებული, ცენტრის წესდების 7.12 პუნქტი.

გარემოება 3.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დასტურდება, რომ მედპერსონალს შორის არათანაბრად არის განაწილებული, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულზე საშტატო განრიგით განსაზღვრული სახელფასო ფონდი. მაგალითად, ლაბორატორიული დეპარტამენტის სახელფასო ფონდი, დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების სახით შემოსული თანხის 30 პროცენტით განისაზღვრება, საიდანაც ექიმ-ლაბორანტებზე შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია დეპარტამენტში შემოსული თანხის 6,67 პროცენტი, ხოლო ექთან-ლაბორანტზე - 2,5 პროცენტი, ხოლო ამავე დეპარტამენტში მომუშავე სანიტრების შრომის ანაზღაურება ფიქსირებულია 0,3 ათასი ლარით. შედეგად, ექიმ-ლაბორანტის საშუალო ხელფასი თვეში 7,6 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ამავე დეპარტამენტის სანიტარის კი - 0,3 ათას ლარს.

დასკვნა:

აუდიტის პერიოდში ფიქსირდება ცენტრში დასაქმებულთა შრომის არათანაბარი და არაობიექტური გარემო პირობები, რამაც დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და შედეგად, საფინანსო მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება განაპირობა¹⁴.

რეკომენდაცია:

სამართლიანობის პრინციპებზე აგებული საშტატო განრიგისა და შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვით, უზრუნველყოფილი იქნეს შრომის თანაბარი და ობიექტური გარემო პირობების შექმნა. ამასთან, პარტნიორთან შეთანხმებით, განხილული იქნეს დირექტორის მიერ, ექიმ-კონსულტანტის პოზიციისათვის მიღებული 64,1 ათასი ლარის კანონიერების საკითხი.

4.4 საქმიანობის ფინანსური შედეგები

კრიტერიუმი

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რომელიც ერთპიროვნულად ახორციელებს საზოგადოების მართვას, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს და მისი საქმიანობა ხელსაყრელი და მომგებიანი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ცენტრის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც მოიცავენ ინფექციური დაავადებების მართვას, ტუბერკულოზის მართვას, აივ ინფექცია/შიდსის და „C“ ჰეპატიტის პროგრამების შესაბამისად განსახორციელებელ სამედიცინო მომსახურებას. ამასთან, ცენტრი პარტნიორის ინტერესების შესაბამისად, ახორციელებს შიდა სტანდარტით განსაზღვრულ საქმიანობას, რომლის მიზანსაც, ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაწევასთან ერთად, დამატებითი

¹⁴ სამედიცინო საქმიანობისა და დოკუმენტაციის არასრულად და არასწორად წარმოებისათვის ცენტრი დაჯარიმებულია 210,1 ათასი ლარით.

შემოსავლებისა და მოგების მიღება წარმოადგენს. სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება საქართველოს მთავრობის დადგენილებების¹⁵ შესაბამისად, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილი ანგარიშების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული დადგენილებებით, სამედიცინო მომსახურების არასათანადო წარმოებისათვის, განსაზღვრულია სხვადასხვა სახის საჯარიმო სანქციები. სამედიცინო საქმიანობის კანონშესაბამისობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ცენტრის ფინანსურ შედეგებს და პარტნიორის სტატუსიდან გამომდინარე, ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდის ოდენობას.

გარემოება 1.

2015 წელს, სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად, სახელმწიფო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ მომსახურებაში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის, ცენტრი სამ შემთხვევაში დაჯარიმებული იქნა სულ 210,1 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა მიკუთვნებულია მიმდინარე ხარჯებზე, რითაც შემცირდა 2015 წლის მოგება და შესაბამისად ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდი.

სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შედგენილი რევიზიის აქტების შესაბამისად, გამოვლენილია სამედიცინო დოკუმენტების არასრულად და არასწორად წარმოების, არასწორი დიაგნოზის დასმის, არაჯეროვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტები. დარღვევა-ნაკლოვანებების სახეობებიდან გამომდინარე, იკვეთება მედპერსონალის მხიდან დაკისრებულ მოვალეობისადმი არასათანადო მიდგომა, თუმცა შესაბამისი პირების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის, არ დამდგარა, დაკისრებული ჯარიმით კი შემცირებულია ცენტრის 2015 წლის ფინანსური მოგება.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული აუდიტით, სამედიცინო დოკუმენტაციის არასწორად წარმოების ფაქტები 2016 წლისთვისაც გამოვლინდა, რის შესახებაც აუდიტის ანგარიშის ზემოთ მოყვანილ გარემოებებშია საუბარი.

გარემოება 2.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის Nას-1251-1191-2014 განჩინების შესაბამისად, უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ცენტრს დაევალა დავით მურვანიძის, ექიმ-ინფექციონისტის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღნიშნულის საფუძველზე, დავით მურვანიძეზე 2016 წელს ხელფასის სახით, გამოყოფილი იქნა 69,4 ათასი ლარი. ანალოგიურად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამსახურში აღდგენილი იქნა ცენტრის იურისტი

¹⁵ “2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N308 დადგენილება, „ 2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2 დეკემბრის N650 დადგენილება,

რუსლან ბერიძე, რომლის სასაგებლოდ სახელფასო განაცდურის სახით ანაზღაურებულია 1.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ დ. მურვანიძის სამსახურში არყოფნის პერიოდში, მის მოვალეობას ასრულებდა სხვა პირი, ხოლო იურისტის სამტატო ერთეული, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის N18 ბრძანებით, გაუქმებული იქნა. შესაბამისად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით 70,4 ათასი ლარის გაცემა განხორციელდა ცენტრის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან, რამაც შეამცირა ცენტრის 2016 წლის ფინანსური მოგება და შესაბამისად ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდი.


დასკვნა

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, აუდიტის პერიოდში, არასწორი სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის, მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის არასწორი და არასრული წარმოებისათვის, მუშაკთა უსაფუძვლო გათავისუფლებისათვის დაკისრებული გადასახდელების გათვალისწინებით, ცენტრის 2015-2016 წლების ფინანსური შედეგი 280,5 ათასი ლარით გაუარესდა.

რეკომენდაცია

დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებების დაკორექტირებით გამოწვეული ზარალი. ამასთან, პარტნიორთან შეთანხმებით, მიღებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, განხილული იქნეს, აუდიტის პერიოდში, არასწორად წარმოებული საქმიანობის ცალკეული შემთხვევები.

წამყვანი აუდიტორი




გოჩა შარაბიძე

წამყვანი აუდიტორი




ნადიმ ბოლქვაძე

აუდიტორ-ასისტენტი



მიხეილ დიასამიძე

აუდიტორ -ასისტენტი



გიორგი აბულაძე

14 . 09.2017